

ინფლაცია და მისი რეგულირების ზოგიერთი მიმართულება

დავით ქელიძე

პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი
საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი

ანოტაცია

ნაშრომის მიზანია უკანასკნელ პერიოდში გააქტიურებული ინფლაციური პროცესების ქვეყნის ეკონომიკისათვის მინიმალური დანაკარგებით დაძლევის გზების ძიება.

აღნიშნულის გათვალისწინებით ნაშრომის პირველ ნაწილში განხილულია მსოფლიო პანდემიის ზემოქმედებით შემცირებული ეკონომიკური აქტივობების სტიმულირებისათვის საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისა და ცალკეული ქვეყნების ხელისუფალთა მიერ განხორციელებული ღონისძიებები. გამოვლენილია ამ პოცესის შედეგად განვითარებული, მათ შორის აშშ დოლარის, ინფლაციის მაღალი მაჩვენებლები.

მსოფლიო სარეზერვო ვალუტის ინფლაციის შედეგად საქართველოში იმპორტირებული და საქართველოს რიგი მაკროეკონომიკური პარამეტრებით გაძლირებული ინფლაციის აღწერა-ანალიზის, აგრეთვე ირვინ ფიშერის განტოლების საფუძველზე ჩატარებული გაანგარიშებების შედეგად გამოკვეთილ არასაურველ საპროგნოზო პარამეტრებზე დაყრდნობით კეთდება დასკვნა ქვეყანაში ინფლაციის მართვა-რეგულირების პროცესის გააქტიურების აუცილებლობის შესახებ.

ფისკალური მეთოდებით, კერძოდ საბიუჯეტო დეფიციტის შემცირების გზით, ინფლაციასთან ბრძოლის ბერკეტად ნაშრომში განხილულია, საქართველოს 2022 წლის სახემწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის „სხვა ხარჯები“-ს მუხლით გათვალისწინებული, აგრეთვე კაპიტალურ და საინვესტიციო პროექტების კატეგორიას მიკუთვნებული ბუნდოვანი საბიუჯეტო ასიგნებების არსებობის მიზანშეწონილების საკითხი.

ინფლაციასთან ბრძოლისათვის აუცილებელი, საბიუჯეტო დეფიციტის შემცირების მიზნით წარმოდგენილია მოსაზრება, კაპიტალური და საინვესტიციო პროექტების ანტიიმფლაციური და პროგრამული ბიუჯეტის შედგენის კრიტერიუმებთან შეუსაბამობის შემთხვევებში მათი საბიუჯეტო დაფინანსების შეწყვეტის შესახებ. აღნიშნული მიდგომის რეალიზების შედეგად შემცირებული ერთობლივი მოთხოვნის კომპენსირების მიზნით ნაშრომის დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია მოსაზრება ქვეყნის ჰიდროენერგეტიკული სექტორის განვითარების საინვესტიციო პროექტების შექმნა-რეალიზების თაობაზე.

აღნიშნული პროექტების პირველი ეტაპის დაფინანსების წყაროდ შემოთავაზებულია საპენციო სააგენტოში აკუმულირებული ფინანსური სახსრების გამოყენება. ხოლო პროექტის შემდგომი ეტაპების დაფინანსებისათვის განხილულია მათი აქციონირების მექანიზმის ამოქმედება.

საკვანძო სიტყვები: ინფლაცია, საბიუჯეტო დეფიციტის შემცირება, საპენციო ფონდის სახსრები, ჰიდროენერგეტიკის ობიექტების ინვესტირება

დავით ჭელიძე

პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია

პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

შესავალი

მსოფლიო პანდემიასთან ბრძოლის აუცილებლობით მიღებულმა რიგმა გადაწყვეტილებებმა მნიშვნელოვანი პრობლემები შეუქმნა როგორც ცალკეული ქვეყნების, ისე გლობალური ეკონომიკის ფუნქციონირების ჩვეულ რითმს. აღნიშნულის შედეგად მსოფლიო მასშტაბით მნიშვნელოვნად შეცირებული ეკონომიკური აქტივობების რეანიმირებისათვის განხორციელებულ ღონისძიებებს შორის განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ: – „პანდემიის დაწყებიდან 2021 წლის აპრილის ბოლომდე, 86 ქვეყნისათვის რეკორდულად დიდი, 110 მილიარდი აშშ დოლარის, ოდენობით კრედიტის გამოყოფის შესახებ გადაწყვეტილების მიღება. აღნიშნულთან ერთად კიდევ ერთ უპრეცედენტო მოვლენად უნდა მივიჩნიოთ, 2021 წლის აგვისტოში მიღებული გადაწყვეტილება, საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი სახელმწიფოებისათვის, 650 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობით, ნასესხობის სპეციალური უფლებების (SDR - Special Drawing Rights) განაწილების შესახებ და მასზე დაყრდნობით, ვალდებულებების ზრდის გარეშე, ქვეყნების რეზერვების და ლიკვიდურობის მნიშვნელოვანი ზრდის უზრუნველყოფა.“¹

ზემოაღნიშნულის პარალელურად ასევე მეტად საყურადღებო მოვლენად გვევლინება, ეკონომიკური სტაგნაციის დაძლევისათვის მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფოს მიერ, ეკონომიკური აქტივობის სტიმულირების, კერძოდ ქვეყნის სამომხმარებლო ბაზრის გადახდისუნარიანი მოთხოვნის გარკვეულ დონეზე შენარჩუნებისათვის, იურიდიული და ფიზიკური პირების ფინანსური მხარდაჭერის პროგრამ(ებ)ის ამოქმედება. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური სარეზერვო სისტემის (მსოფლიო სარეზერვო ვალუტის ემიტენტის) მიერ სახაზინო და იპოთეკური ფასიანი ქაღალდების შესყიდვის გზით: – „2019 წლის დეკემბრიდან 2021 წლის აგვისტომდე, ამერიკის შეერთებულ შტატებში M2 ფულის მასის 5,5 ტრილიონი დოლარის ოდენობით გაზრდა. რაც წლინახევრის განმავლობაში ფულის მასის 35,7%-ით ზრდის თავზარდამცემ მაჩვენებლს წარმოადგენს.“²

ძირითადი ნაწილი

„ქვეყნის ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად აუცილებელი ფინანსური პოტენციალის ფორმირების მნიშვნელოვან წყაროდ, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების „კეინზიანური მოდელი“-თ კარგად ცნობილი სახელმწიფო (საბიუჯეტო) სახსრები „³-ს გამოყენების ზემოაღნიშნული წესის ლოგიკურობისა და კარგად ადაპტირებული (მათ შორის 2008 წელს დაწყებული მსოფლიო ფინანსური კრიზისის დაძლევის მიზნით ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ განხორციელებული, „რაოდენობრივი შემსუბუქების“

¹ „BUILD FORWARD BETTER“ IMF ANNUAL REPORT 2021, Message From The Managing Director p. 4 <https://www.imf.org/external/pubs/ft/ar/2021/eng/downloads/imf-annual-report-2021.pdf>


² The Monetary Bathtub Is Overflowing – WSJ <https://www.wsj.com/articles/monetary-bathtub-overflowing-inflation-drain-transitory-11634847429>

³ დ. ჭელიძე „საინვესტიციო პროექტები, როგორც ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელი ბერკეტი“ ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“ ტომი XII #2, 2020 გვ. 2

(Quantitative Easing) სახელწოდებით ცნობილი სახელმწიფო პროგრამა)⁴ ხასიათის მიუხედავად, აღნიშნულმა მიდგომებმარიგ შემთხვევებში საკმაოდ არასასურველი შედეგების მიღება განაპირობა. კერძოდ მსოფლიო ეკონომიკის ლიდერ, ამდენად გლობალური ეკონომიკური ტენდენციების განმსაზღვრელ ეკონომიკურ სივრცეში-ამერიკის შეერთებულ შტატებში სამომხმარებლო ფასების ზრდის მეტად არასასურველი ტენდენციები იქნა გამოკვეთილი. (იხ.დიაგრამა №1).

**2020 წლის დეკემბრიდან 2021 წლის დეკემბრამდე ყოველთვიური
ინფლაციის დონე ამერიკის შეერთებულ შტატებში⁵**

დიაგრამა №1



დიაგრამა №1-ზე ასახულ მონაცემებსა და ავტორიტეტულ საერთაშორისო გამოცემებზე დაყრდნობით 2021 წლის დეკემბრში: – „ინფლაციამ ამერიკის შეერთებულ შტატებში მიაღწია 7%-ს, ანუ 39 წლის ისტორიულ მაქსიმუმს. 2021 წელს სამომხმარებლო ფასები გაიზარდა, თითქმის ოთხი ათეული წლის მანძილზე დაფიქსირებულ მაქსიმალურ დონემდე“.⁶

ზემოაღნიშნული სიტუაცია მნიშვნელოვნად ზემოქმედებს საქართველოში მიმდინარე პროცესებზე. საქმე ისაა, რომ თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკური ინტეგრაციის პირობებში მრავალი სტრატეგიული დანიშნულების (მათ შორის პირველადი მოთხოვნილების) საქონლის ფასების ფორმირება ტრადიციულად აშშ დოლარში ხორციელდება. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ აშშ დოლარი მსოფლიოს პრაქტიკულად ნებისმიერ კუთხეში წარმოებული საქონლისა და გაწეული მომსახურებისათვის, როგორც ღირებულების საზომს, ისე გაცვლის საშუალებას (გარკვეულ შემთხვევებში არაოფიციალურს) წარმოადგენს, მტკიცება არ ჭირდება თუ რა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აშშ დოლარის ინფლაციის ზემოაღნიშნული ტენდენციები მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სამომხმარებლო ბაზრის ფასებზე.

აღნიშნული განსაკუთრებული სიმწვავეთი საქართველოს რეალობაში ვლინდება. საქმე ისაა, რომ ჩვენი ქვეყანის სამომხმარებლო ბაზრის იმპორტდამოკიდებულების მაღალი მაჩვენებელი, კერძოდ ქვეყანის მიერ მოხმარებული საქონლის საერთო ოდენობაში იმპორტირებული პროდუქციის მეტად მაღალი ხვედრითი წილი, აშშ დოლართან დაკავშირებულ ინფლაციურ პროცესებს „ინფლაციის იმპორტი“-ს სახით (ქვეყნის ხელისუფლების მიერ გატარებულ ანტიინფლაციურ ღონისძიებებს ნაკლებად დაქვემდებარებულ ეგზოგენურ ფაქტორებად), სისტემურ რისკებად წარმოგვიდგენს.

⁴ ლ. ჭელიძე, დ. ჭელიძე „კონკურენტული სამეწარმეო გარემო და საგადასახადო შეღავათები“ კონკურენციის პოლიტიკის მეორე საერთაშორისო კონფერენცია „კონკურენციის პოლიტიკა: ტენდენციები და გამოწვევები“ შრომების კრებული თბილ. 2018 გვ. 122

⁵ Monthly 12-month inflation rate in the United States from January 2021 to January 2022
<https://www.statista.com/statistics/273418/unadjusted-monthly-inflation-rate-in-the-us/>

⁶ **US inflation hits 39-year high of 7 per cent** <https://www.scmp.com/news/world/united-states-canada/article/3163166/us-inflation-hits-39-year-high-7-cent>

აღნიშნულს ადასტურებს ცნობილ ქართველ ეკონომისტთა განცხადებები იმის თაობაზე, რომ: „საქართველო სწორედ იმპორტდამოკიდებული ქვეყანაა. იმპორტდამოკიდებულ ქვეყანაში იმპორტთან ერთად ინფლაციის იმპორტიც ხდება. თუ საერთაშორისო ბაზრებზე ფასებმა მოიმატა, ეს გაზრდილი ფასები იმპორტთან ერთად შემოდის ქვეყანაში. ამის დარეგულირების მექანიზმი ინფლაციის თარგეტირების პირობებში პრაქტიკულად არ არსებობს“.⁷

ქვეყანაში ინფლაციის მაპროვოცირებელი ზემოაღნიშნული ეგზოგენური ფაქტორების პარალელურად, ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ სამინაო-ენდოგენური ფაქტორები. კერძოდ ეროვნული ვალუტის, უცხოურ ვალუტებთან (ძირითადად აშშ დოლარი, ევრო) გაცვლითი კურსის და აქედან გამომდინარე ქვეყანის სამომხმარებლო ბაზარის ფასების განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური პარამეტრების დინამიკა (იხ. ცხრილი №1).

ინფლაციის/დეფლაციის მაპროვოცირებელი მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური პარამეტრების დინამიკა* **ცხრილი 1**

	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი (მლნ აშშ დოლარი) ზრდა/კლება 2015 =100%	ფაქტი 13 993,2 100,0	ფაქტი 14 377,8 102,7	ფაქტი 16 242,7 116,1	ფაქტი 17 599,6 125,8	ფაქტი 17 476,9 124,9	ფაქტი 15 846,5 113,2	ფაქტი 18 176,7 129,9
საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ აშშ დოლარი) ზრდა/კლება 2015 = 100%	1 728,8 100,0	1 654,0 95,7	1 980,8 114,6	1 317,1 76,2	1 335,8 77,3	572,0 33,1	728,4 42,1
საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი (FOB) (მლნ აშშ დოლარი) ზრდა/კლება 2015 =100%	2 204,2 100,0	2 117,1 96,0	2 745,7 124,6	3 379,7 153,3	3 798,4 172,3	3 343,4 151,7	4 242,3 192,5
საქონლის რეგისტრირებული იმპორტი (CIF) (მლნ აშშ დოლარი) ზრდა/კლება 2015 =100%	7 304,2 100,0	7 341,9 100,5	8 057,2 110,3	9 361,8 128,2	9 519,2 130,3	8 052,9 110,2	10 073,3 137,9
საგარეო ვაჭრობის (ექსპორტ-იმპორტის) საღდო (მლნ აშშ დოლარი) ზრდა/კლება 2015 =100%	-5 100,0 100,0	-5 224,8 102,4	-5 311,5 104,1	-5 982,1 117,3	-5 720,8 112,3	-4 709,4 92,3	-5 831,0 114,3
საგარეო ვალის მომსახურება (მლნ აშშ დოლარი) ზრდა/კლება 2015 =100%	240,0 100,0	222,9 92,9	275,6 114,8	388,7 162,0	440,3 183,5	398,3 165,9	921,4 383,9
საგარეო ვალის მომსახურება პროცენტულად მშპ-თან ზრდა/კლება 2015 =100%	1,7 100,0	1,6 94,1	1,7 100,0	2,2 119,4	2,5 147,1	2,5 147,1	5,1 300,0
საგარეო ვალის მომსახურება პროცენტულად ექსპორტთან ზრდა/კლება 2015 =100%	3,9 100,0	3,6 92,3	3,6 100,0	4,4 112,8	4,6 117,9	6,7 171,8	11,9 305,1

* წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; საქართველოს ეროვნული ბანკი.

⁷ . ლადო პაპავა - შეუძლებელია იმის თქმა, რამდენ ხანს შეძლებს ეროვნული ბანკი ლარის ამ ნიშნულზე შენარჩუნებას <https://www.interpressnews.ge/ka/article/694110-lado-papava-sheuzlebelia-imis-tkma-ramden-xans-shezlebs-erovnuli-banki-laris-am-nishnulze-shenarchunebas>

როგორც ცხრილ №1-ში დაფიქსირებული მონაცემები ცხადყოფენ, ეროვნული ვალუტის კურსის განმსაზღვრელი, ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვების ერთ-ერთ კომპონენტად მიჩნეული უცხოური ვალუტის რეზერვების ფორმირების მნიშვნელოვანი წყარო, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, 2015-2021 წლებში, 1 000,4 (მილიარდ ოთხასი ათასი) მლნ. აშშ დოლარით, ანუ 29,9 პროცენტული ერთეულით არის შემცირებული.


აღნიშნული ფონზე განსაკუთრებული სიმწვავეთ აღიქმება ამავე პერიოდში ქვეყნიდან უცხოური ვალუტის გადინების მაჩვენებლების ზრდის არასასურველი ტენდენცია. კერძოდ, 2015-2021 წლებში ქვეყნის ექსპორტ-იმპორტის უარყოფითი სალდოს (საგარეო სავაჭრო დეფიციტის), 14,3 პროცენტული ერთეულით ზრდის პარალელურად, საგარეო ვალის მომსახურების მაჩვენებლის განსაკუთრებით მაღალი -283,9 პროცენტული ერთეულით ზრდა.

ეროვნული ვალუტის სტაბილური კურსის უზრუნველყოფის თვალსაზრისით ქვეყანაში შექმნილ სიტუაციას მნიშვნელოვად ამძიმეს საგარეო ვალის მომსახურების მაჩვენებლის, ქვეყნის ნომინალურ მთლიანი შიდა პროდუქტთან თანაფარდობის 2015 წელს 1,7%-ის დონეზე დაფიქსირებული მაჩვენებლის, 2021 წლისათვის 5,1%-მდე, ანუ 300% პროცენტული ერთეულით ზრდის, აგრეთვე 2021 წლისათვის საგარეო ვალის მომსახურების მიზნით ქვეყნიდან გადინებული ფინანსური სახსრების, ქვეყნის საექსპორტო შემოსავლების თითქმის 12%-მდე ზრდის მეტად არასასურველი ტენდენციები.

ზემოაღნიშნული ფაქტორების ზემოქმედების ლოგიკურ შედეგად უნდა მივიჩნიოთ უკანასკნელ პერიოდში ქვეყანაში განვითარებული ინფლაციური ტენდენციები. (იხ. დიაგრამა №2),

წლიური ინფლაცია (დეკემბერი/დეკემბერთან)

დიაგრამა №2




* წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა №2-ში დაფიქსირებული ინფლაციის მაღალი მაჩვენებლით განპირობებულ პრობლემებს განსაკუთრებულ და ქვეყნის ფინანსური სისტემის სტაბილურობისათვის რისკის დატვირთვას სძენს, დიაგრამა №3-ში წარმოდგენილი მონაცემები, რომელთა შესაბამისად უახლოეს პერსპექტივაში, კერძოდ 2022 წლიდან 2025 წლის ჩათვლით პერიოდში, ქვეყნის ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის საპროგნოზო მაჩვენებლის მხოლოდ 29,6 პროცენტული ერთეულით ზრდის ფონზე, ფართო ფულის-M2 მასის ზრდა, 59,0 პროცენტული ერთეულით არის ნავარაუდები. ამასთან ერთდ ზრდის ტენდენციით ხასიათდება M2 ფულადი აგრეგატის, ნომინალურ მთლიან შიდა პროდუქტთან თანაფარდობის საპროგნოზო პარამეტრიც, კერძოდ 2025 წლისათვის აღნიშნული თანაფარდობის საპროგნოზო ოდენობა 36,8%-ის დონეზეა ნავარაუდები, ნაცვლად 2022 წელს პროგნოზირებული 29,5%-სა.

ფულის მასის ზრდის აღნიშნული ტენდენცია სავსებით შესაძლებელია ერთის მხრივ ქვეყანაში ეკონომიკური აქტივობის ზრდის მასტიმულირებელ ფაქტორად იქნეს მიჩნეული, თუმცა დროის ხანმოკლე პერიოდში, ფართო ფული M2-ის მსგავსი და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელზე მნიშვნელოვნად წინმსწრები ტემპით ზრდა, სავსებით შესაძლებელია ინფლაციის მასტიმულირებელ ფაქტორად იქნეს ტრანსფორმირებული.

ინფლაციის მაპროვოცირებელი მაკროეკონომიკური პარამეტრების დინამიკა*

დიაგრამა №3



საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; საქართველოს ეროვნული ბანკი.

„ინფლაციური რისკების ზემოაღნიშნულ მოლოდინს კიდევ უფრო ამძიმებს ფულის რაოდენობრივი თეორიის ირვინ ფიშერის განტოლების საფუძველზე გაანგარიშებული“⁸ და ცხრილი 2-ით წარმოდგენილი მონაცემები რომელთაც ადეკვატურად ასახავენ 2016-2021 წლებში განვითარებულ ინფლაციურ პროცესებს და აქედან გამომდინარე გასაკუთრებულ დატვირთვას მატებენ, 2022-25 წლებში ქვეყანაში ფასების დონის საპროგნოზო მაჩვენებლის [1] ერთი შეხედვით უმნიშვნელო, (1,48-დან, 1,61-მდე) თუმცა ზრდის პროგნოზირებულ ტენდენციას.

ფასების დონის საპროგნოზო ოდენობის დინამიკა*

ცხრილი 2

	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024	2025
	ფაქტ	ფაქტ	ფაქტ	ფაქტ	ფაქტ	მოს	პროგ	პროგ	პროგ	პროგ
მშპ მუდმივ 2015 წლის ფასებში (მლრდ ლარი)	34,9	36,6	38,4	40,3	37,6	41,4	43,9	46,3	48,7	51,2
ცვლილება წინა წელთან	–	4,8	4,8	5,0	-6,6	10,0	6,0	5,5	5,2	5,2
ფართო ფული M2 (მლრდ ლარი)	6,5	8,4	9,8	11,6	13,7	16,3	19,2	22,5	26,5	30,5
ფულის მოძრაობის სიჩქარე	5,23	4,84	4,56	4,25	3,61	3,6	3,38	3,14	2,92	2,71
ფასების დონე	0,97	1,11	1,63	1,22	1,31	1,42	1,48	1,53	1,59	1,61

*წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; საქართველოს ეროვნული ბანკი.

შექმნილი სიტუაციის დაძლევისათვის სრულიად მართებულად უნდა მივიჩნიოთ, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის, დროის ხანმოკლე პერიოდში, კერძოდ, 2015 წლის თებერვლს არსებული 4,0%-იდან, 2022 წლის თებერვლისათვის, 10,5%-მდე, (მათ შორის 2021 წელს 2,5%-ით) ზრდის თაობაზე გადაწყვეტილებების მიღება.

როგორც ცნობილია აღნიშნული გადაწყვეტილების შედეგად ე.წ., „ძვირი ფულის პოლიტიკის“

⁸ . ლ. ჭელიძე, დ. ჭელიძე „ინფლაცია და მისი მართვა-რეგულირების სრულყოფის ზოგიერთი საკითხი“ გვ.14

ამოქმედება, ქვეყანაში საკრედიტო რესურსების გაძვირების გზით, ზღუდავს ეკონომიკური აქტივობისათვის აუცილებელ საკრედიტო სახსრებზე წვდომის შესაძლებლობას და აქედან გამომდინარე, ხშირად ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დამაბრკოლებელ ფაქტორად ფორმირდება.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და რიგი სხვა გარემოებების ზემოქმედებით იკვეთება სიტუაცია, რომლის შესაბამისად: „უაღრესად დაბალი ფინანსური პოტენციალის მქონე საოჯახო მეურნეობების მოხმარების (C) სიმცირის, მეტად შეზღუდული საინვესტიციო აქტივობისა (I) და ღრმად დეფიციტური სავაჭრო ბალანსით გამოწვეული ექსპორტის (NX) უარყოფითი სიდიდის პირობებში, ქვეყნის მშპ-ს ფორმირება-ზრდის ერთ-ერთ ძირითად ბერკეტად საბიუჯეტო ხარჯები (G) გვევლინება.

ამდენად ქვეყნის ეკონომიკის ზრდის უზრუნველსაყოფად აუცილებელი ფინანსური პოტენციალის ფორმირების მნიშვნელოვან წყაროდ, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების „კეინზიანური მოდელი“-თ კარგად ცნობილი სახელმწიფო (საბიუჯეტო) სახსრები“⁹-ს გამოყენება გვესახება.

აქედან გამომდინარე, საქართველოს ეკონომიკის წინაშე სადღეისოდ არსებული პრობლემების დაძლევისათვის ჩვენი აზრით ორი უმთავრესი ამოცანა, ინფლაციის მაღალი ტემპის „მოთოკვა“ და აღნიშნულის შედეგად შემცირებული ერთობლივი მოთხოვნის სტიმულირება უნდა იქნეს მიჩნეული. იმ ელემენტარული ეკონომიკური ლოგიკის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული მიმართულებების რეალიზება უაღრესად რთულ, ხოლო არასათანადოდ განხორციელების შემთხვევაში ურთიერთგამომრიცხველ პროცესებს განაპირობებენ, მათი განხორციელება კომპლექსური ანალიზს საჭიროებს.

პრობლემების კომპლექსური ხასიათის გათვალისწინებით სრულიად მართებულ გადაწყვეტილებად უნდა ჩაითვალოს, 2025 წლისათვის საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი სალდოს (საბიუჯეტო დეფიციტის), 2022 წელს არსებულ პარამეტრთან შედარებით, -848 მლნ. ლარით შემცირების და მისი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტთან თანაფარდობის სადღეისოდ დაფიქსირებული 4,3%-იდან, 2025 წლისათვის 2,3%-მდე შემცირების¹⁰ შედეგად, „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ პარამეტრებში მოქცევა.

აღნიშვნას იმსახურებს ის გარემოება, რომ ქვეყნის-სოციალურ ეკონომიკური განვითარების სადღეისო მდგომარეობის გათვალისწინებით ზემოაღნიშნული ამოცანების რეალიზება დიდ სირთულეებს უკავშირდება. საქმე ისაა, რომ საბიუჯეტო დეფიციტის შემცირების ყველაზე ეფექტურ საშუალებად მიჩნეული საბიუჯეტო შემოსავლების რეალური (არა ნომინალური) ზრდის შესაძლებლობები, რიგი ფაქტორების გათვალისწინებით, ნაკლებად საიმედო მიმართულებას წარმოადგენს.

აქედან გამომდინარე, მოცემული ეტაპისათვის განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს საბიუჯეტო ხარჯების ეფექტური გამოყენება. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ შექმნილ სიტუაციაში აბსოლუტურად წარმოუდგენელია სახელმწიფო ბიუჯეტის ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, უსაფრთხოების, თავდაცვის, საგარეო და საშინაო ვალდებულებების მომსახურებისათვის განკუთვნილი საბიუჯეტო ასიგნებების მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ოდენობით შემცირება, საბიუჯეტო დეფიციტის შემსუბუქების ქმედით მიმართულებად ბიუჯეტის კაპიტალური და საინვესტიციო ხარჯების კორექტირება უნდა იქნეს მიჩნეული.

აღნიშნული მიდგომის რეალიზებისათვის, საბიუჯეტო ასიგნებების სიღრმისეული ანალიზის შედეგად, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების სუბიექტებად ნაკლებად ინფლაციური დატვირთვისა და ქვეყანაში არსებული ერთობლივი მოთხოვნის მასტიმულირებელი კაპიტალური და საინვესტიციო პროექტები უნდა იქნენ შერჩეული. აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით განსაკუთრებულ ყურადღებას და სათანადო კორექტირებას მოითხოვს საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის „სხვა ხარჯები“-ს მუხლით დამტკიცებული 2 458 728 100¹¹ (ორი მილიარდ ოთხას ორმოცდათვრამეტი მილიონ შვიდასოცდარვა ათას ასი) ლარის, (სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის 17,1%) მიზნობრიობის შესწავლა.

⁹ დ. ქელიძე „საინვესტიციო პროექტები, როგორც ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელი ბერკეტი“ ეკონომიკა და ბიზნესი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი თომი XII №2, 2020

¹⁰ „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანმდევნი, „ქვეყნის ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორები“-ს სახელწოდების დოკუმენტი.

¹¹ „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი.

გამჭირვალეობის თვალსაზრისით ტრადიციულად პრობლემური, „სხვა ხარჯები“-ს მუხლში მოქცეული საბიუჯეტო ასიგნებების მიზნობრიობის დადგენის აქტუალობას ადასტურებს, 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის თანმდევი დოკუმენტი, „ინფორმაცია ბიუჯეტით გათვალისწინებული „სხვა ხარჯები“-ს მუხლით დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ».

აღნიშნული დოკუმენტის შექმნა თავისთავად პროგრესულ ნაბიჯს წარმოადგენს, თუმცა თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ „სხვა ხარჯები“-ს განმარტებისათვის წარმოდგენილი დოკუმენტის ტექსტში ხშირია იდენტიფიკაციის თვალსაზრისით იმგვარი ბუნდოვანი ფორმულირებები როგორსაც განეკუთვნება მაგალითად: ელექტროგადამცემი ქსელის გაძლიერების პროექტის ფარგლებში (საბიუჯეტო კოდი 24.14.01), „სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტებისა და მათი თანადაფინანსებისათვის“ გამოყოფილი 4,8 მილიონი ლარი; ურბანული მომსახურების გაუმჯობესების (წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორი)-ს პროგრამის ფარგლებში, (საბიუჯეტო კოდი 25.04.01) ასევე »სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტებისა და მათი თანადაფინანსება,“-ისათვის გამოყოფილი 15,0 მლნ. ლარი¹² და ა.შ.

სახელმწიფო ბიუჯეტის „სხვა ხარჯები“-ს მუხლით გათვალისწინებული ბუნდოვანი საბიუჯეტო ასიგნებების განმარტებისათვის შექმნილ ზემოაღნიშნულ დოკუმენტში „სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები და მათი თანადაფინანსება“-ის სახით არსებულ ასევე ბუნდოვან ფორმულირებასთან დაკავშირებულ პრობლემებს კიდევ უფრო აღრმავებს სახელმწიფო ბიუჯეტის კაპიტალური პროექტებით გათვალისწინებული ასევე ბუნდოვანი და კორუფციული დატვირთვის მტარებელი იმგვარი პროექტები როგორსაც განეკუთვნება: – „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა“ და მისი დაფინანსებისათვის (საბიუჯეტო კოდები 25.03.07.01; 55.13.05).¹³ აზიის განვითარების ბანკიდან 120 მლნ აშშ დოლარის სესხის აღების გადაწყვეტილება.

დასკვნა

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საქართველოში მოქმედებს „საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 22 აპრილის №191 დადგენილებით და „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის №385 ბრძანებით განსაზღვრული, კაპიტალური და საინვესტიციო პროექტების შერჩევის, მკაცრი კრიტერიუმები, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, როგორც 2022, ისე მომდევნო წლების საბიუჯეტო დაფინანსებისათვის გათვალისწინებული კაპიტალური და საინვესტიციო პროექტები ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტებით გათვალისწინებულ სტანდარტებთან შესაბამის ნიშნით გადაიხედონ. აღნიშნული ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან შეუსაბამო საბიუჯეტო ხარჯები, ჩვენი აზრით სეკვესტრირება-ანულირებას უნდა დაექვემდებარონ, რაც დადებითი იმპულსი მისცემს ქვეყნის საფინანსო სისტემის მძიმე ტვირთად არსებულ საბიუჯეტო დეფიციტის შემსუბუქების პროცესს.

საბიუჯეტო დეფიციტის შემცირების გზით ინფლაციასთან ბრძოლის საყოველთაოდ აღიარებული ზემოაღნიშნული მიდგომის აქტუალობის მიუხედავად მისი რეალიზება, როგორც ცნობილია ზღუდავს სამომხმარებლო ბაზრის ერთობლივი მოთხოვნის დონეს. აქედან გამომდინარე, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელი გარემოს ფორმირების, ეკონომიკის საბაზო დარგად მიჩნეული ენერგეტიკული სექტორის განვითარების, „იაფი ელექტროენერგიით ქვეყნის ეკონომიკის მაქსიმალური უზრუნველყოფის, მესაკუთრეთა ფენის შექმნა-გაფართოების პროცესის სტიმულირებისა და მიმოქცევის არხებში არსებული ინფლაციის მასტიმულირებელი ჭარბი ფულადი მასის გარეკეული ნეიტრალიზების მიზნით», მიზანშეწონილად მიგვაჩნია „სახელმწიფო და კერძო სექტორის (ფიზიკური და იურიდიული პირების) ერთობლივი ძალისხმევით ჰიდროგენერაციის ახალი ობიექტების შექმნა-ფუნქციონირების სპეციალური მიზნობრივი პროგრამების შემუშავების პროცესის დაწყება.“¹⁴.

¹² „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანმდევი დოკუმენტაციის სახით წარმოდგენილი დოკუმენტი „ინფორმაცია ბიუჯეტით გათვალისწინებული „სხვა ხარჯები“-ს მუხლით დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ“.

¹³ „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანმდევი დოკუმენტაციის სახით წარმოდგენილი დოკუმენტი „ინფორმაცია საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული კაპიტალური პროექტების შესახებ“ (კაპიტალური ბიუჯეტის დანართი)“.

¹⁴ დ. ჭელიძე „საბიუჯეტო ხარჯების სტრუქტურის სრულყოფის ზოგიერთი საკითხი“ ყოველკვარტალური საერთაშორისო

2007 წელს ინიცირებული ზემოაღნიშნული მოსაზრების აქტუალობას ცხადყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტოს“ მიერ, საკუთარ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ: – „2021 წლის მაისში, საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტომ ამერიკელ ინვესტორებს უმასპინძლა, რომლებიც საქართველოს განახლებადი ენერგიის სექტორში ინვესტირებით არიან დაინტერესებულნი.“¹⁵

წარმოდგენილი ინფორმაცია აღნიშნული მიმართულებით ქვეყნის ხელისუფლების საქმიანობის გააქტიურების აუცილებლობაზე მიგვანიშნებს. ამდენად სავსებით ლოგიკურად უნდა მივიჩნიოთ ქვეყნის ხელისუფლების შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი სტრუქტურის მიერ ჰიდროგენერაციის ობიექტების შექმნა-ფუნქციონირების ტექნიკო-ეკონომიკურად დასაბუთებული საინვესტიციო პროექტების პირველი ეტაპის სამუშაოების დაწყება.

საბიუჯეტო დეფიციტის ზრდის არასასურველი პროცესის თავიდან აცილებისათვის, აღნიშნული საინვესტიციო პროექტების პირველი ეტაპის დაფინანსება, ჩვენი აზრით საქართველოს საპენსიო სააგენტოში აკუმულირებული ფინანსური სახსრებით უნდა განხორციელდეს.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებებს რომ: „საპენსიო სააგენტოს აქტივების წმინდა ღირებულება 2022 წლის 15 თებერვლის მდგომარეობით 2, 096 მლრდ. ლარს შეადგენს“¹⁶ და სააგენტო დაინტერესებულია ამ სახსრების საინვესტიციო პროექტებში მომგებიანი განთავსებით. აგრეთვე იმ ფაქტს, რომ საპენსიო სააგენტოში მობილიზებული ფინანსური სახსრების უდიდესი ნაწილი სახელფასო განაცემებიდან მობილიზებულ-ქვეყნის ეკონომიკაში გენერირებულ რესურსებს წარმოადგენენ და საბიუჯეტო დეფიციტის ხარჯზე ფორმირებული ფინანსებისაგან განსხვავებით მნიშვნელოვნად ნაკლები ინფლაციური დატვირთვით ხასიათდებიან, მათი კაპიტალური და საინვესტიციო პროექტების წილობრივი წესით დაფინანსებისათვის გამოყენება ჩვენი აზრით სავსებით მართებულ გადაწყვეტილებას წარმოადგენს.

საპენსიო სააგენტოს მკაცრად რეგლამენტირებული ფინანსური სახსრები გამოყენებული უნდა იქნენ საინვესტიციო პროექტების იმ საწყისი ეტაპის დაფინანსებისათვის სადაც განხორციელდება ჰიდროგენერაციის ობიექტების ტექნიკო-ეკონომიკურად დასაბუთებული და კომერციულად მიმზიდველი პროექტების შემუშავება.

ჰიდროგენერაციის ობიექტების შექმნა-ფუნქციონირების შემდგომი ეტაპების დაფინანსება ჩვენი აზრით განხორციელებული უნდა იქნეს ამ პროექტების აქციების საჯარო განთავსების-აქციონირების გზით კერძო სექტორიდან მობილიზებული ფინანსური სახსრებით. საინვესტიციო პროექტების შემოთავაზებული წესით დაფინანსება დადებით იმპულსს მისცემს მიმოქცევის ახრებში დაღუპილი, ინფლაციური დატვირთვის მატარებელი, ფინანსური რესურსების სამეწარმეო სექტორში განთავსების მეტად სასურველ პროცესს.

გამოყენებული ლიტერატურა:

Campbell R. McConnell, University of Nebraska, Stanley L. Brue, Pacific Lutheran University, Sean M. Flynn, Scripps College. Copyright ©2015 by McGraw-Hill., ECONOMICS: PRINCIPLES, PROBLEMS, and POLICIES – Twentieth edition Published by McGraw-Hill Education, 2 Penn Plaza, New York, NY 10121.

<https://b-ok.org/book/5064635/5a4056>Fisher's Quantity Theory of Money: Equation, Example, Assumptions and Criticisms Article Shared by SumanK

<https://www.economicdiscussion.net/money/quantity-theory-of-money/fishers-quantity-theory-of-money-equation-exa>

[1] ცხრილი №2-ით წარმოდგენილი ფასების დონის მაჩვენებელი გაანგარიშებულია ირვინ ფიშერის ცნობილი განტოლების საფუძველზე $P = MV/Y$ სადაც: P – ფასების დონე; M – ფართო ფული M; V – ფულის მიმოქცევის სიჩქარე; Y – საქონელისა და მომსახურების მთლიანი გამოშვება.

რეგენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „კომერსანტი“ #2(3) თბილისი 2007 გვ. 30-31

¹⁵ საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტო <https://ppp.gov.ge/vrcladis-teqsti/>

¹⁶ საპენსიო სააგენტოს 15 თებერვლის სტატისტიკა <https://pensions.ge/public-information/news/february-15-statistics-of-the-pension-agency>